მეგზური ავტორთათვის

1. წარმოდგენილი სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს A4 ფორმატის თეთრ ქაღალდზე ორი ინტერვალით, შრიფტი 12, ზედა და ქვედა არეები – 20-20 მმ, გვერდითი არეები – 30-30 მმ. სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 10 ნაბეჭდ გვერდს, ფორმულების, ცხრილებისა და სურათების ჩათვლით.
2. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად ინგლისურ ენაზე მთავარი რედაქტორის სახელზე. სტატიას უნდა ახლდეს აგრეთვე:
   - ცნობები ავტორის (ავტორების) შესახებ, მოცემულ შრომაში მისი წვლილის აღნიშვნით;
   - აკადემიის წევრის წარდგინება და ორი კვალიფიციური რეცენზია სხვადასხვა ინსტიტუტიდან (თუ ავტორი არ არის აკადემიის წევრი); მიმართვა რედაქციის სახელზე გამოქვეყნების თხოვნით იმ დაწესებულებიდან, სადაც შესრულებულია შრომა.

   სტატიას განიხილავს სარედაქციო საბჭო და გადაწყვეტს მისი გამოქვეყნება-არგამოქვეყნების საკითხს.
3. სტატია უნდა გაფორმდეს შემდეგი სახით:
   - მეცნიერების დარგი;
   - სტატიის სათაური;
   - ავტორის (ავტორების) სრული სახელი, გვარი;
   - სამუშაო ადგილი;
   - ნაშრომის წარმომდგენი აკადემიის წევრის გვარი;
   - რეზიუმე (250 სიტყვა);
   - საკვანძო სიტყვები;
   - ტექსტი. ტექსტის ბოლოს დაფინანსების წყაროს და მადლობების ჩამონათვალი;
   - ინგლისური ტექსტის შემდეგ რეზიუმე ქართულ ენაზე (გაფორმებული იმავე თანმიმდევრობით, როგორც ინგლისური ტექსტი), მოცულობა ერთ გვერდამდე;
   - დამოწმებული ლიტერატურის სია უნდა დალაგდეს ტექსტში ციტირების მიმდევრობის მიხედვით (ლიტერატურა ტექსტში აღნიშნული უნდა იყოს ციფრებით კვადრატულ ფრჩხილებში);
   - ნახაზები და ცხრილები მოცემული უნდა იყოს ცალკე გვერდებზე. ფოტოები – ორიგინალის სახით;
   - სურათებს უნდა ახლდეს წარწერები;
   - სტატიის ბოლო გვერდზე უნდა იყოს ყველა ავტორის ხელმოწერა (გარკვევით).
4. ელექტრონული ვერსია: CD-ROM, შრიფტი Times New Roman. ტექსტი: Word, Word Perfect, RTF. ფორმულები შესრულებული უნდა იყოს MathType 6.0 equation პროგრამის გამოყენებით. ცხრილები და ნახაზები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე ფაილად, ნახაზები უნდა შესრულდეს TIFF, EPS, JPEG (არანაკლებ 300 dpi), ცხრილები: Word, Word Perfect, RTF.
5. სტატიის ტიპოგრაფიული თუ ელექტრონული სახით გამოქვეყნებაზე ავტორმა უნდა განაცხადოს თანხმობა; მიღებული სტატიის გასწორებული ვერსია, ან დაწუნებული ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება. სარედაქციო საბჭო არ განიხილავს ნაშრომს, რომელიც მოთხოვნების მიხედვით არ იქნება გაფორმებული. ავტორს შეუძლია ნიმუშად გამოიყენოს ჟურნალის რომელიმე ნომერი.
6. რუსული ტექსტის ტრანსლიტერაცია მოცემულია ასოებით კონგრესის ბიბლიოთეკის სისტემის მიხედვით.
7. ნაშრომის გამოქვეყნება უფასოა.